



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„ 17 „ 10 2018 წ.

დადგენილება № 24

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ


„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და „აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების ფუნქციონირების საკითხის შესწავლის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 05 სექტემბრის N55 დადგენილების თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები.
2. აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე სასწავლო პროცესი გაგრძელდეს 2019 წლის 30 ივლისამდე.
3. აბიტურიენტები მომზადდნენ შემდეგ საგნებში:
 - ქართული ენა და ლიტერატურა;
 - ზოგადი უნარები;
 - უცხოური ენა (ინგლისური);
 - ისტორია;
 - გეოგრაფია;
4. მეცადინეოები ჩატარდეს ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №113-ში მდებარე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში და დაბა ადიგენში, მისამართზე თორნიკე ერისთავის ქ. №20;
5. მოსამზადებელი კურსების ჯგუფები დაკომპლექტდეს არანაკლებ 10 (ათი) მსმენელისაგან.
6. მეცადინეოები ჩატარდეს კვირაში ორჯერ 2 საათის ხანგრძლივობით.
7. თითოეული საგნის სწავლის საფასური განისაზღვროს თვეში 25 (ოცახუთი) ლარის ოდენობით, გადახდა განხორციელდეს ყოველთვიურად.
8. პროფესორ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათობრივი წესით - ერთი აკადემიური საათი (საკონტაქტო) 12,50 (თორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი.
9. განახევრდეს მოსამზადებელ კურსებზე სწავლის საფასური ერთი ოჯახიდან ორზე მეტი აბიტურიენტის სწავლის შემთხვევაში.

10. სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების აბიტურიენტები გათავისუფლდნენ სწავლის საფასურის გადახდისაგან.
11. აბიტურიენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მათი სემესტრული აკადემიური მოსწრება იქნება A, B და C დონე, სტიპენდიის სახით, ეტაპობრივად დაუბრუნდეთ მათ მიერ გადახდილი მოსამზადებელი კურსების სწავლის საფასური.
12. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების სატრანსპორტო საშუალებით დაბა ადიგენში გადაადგილება.
13. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
14. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და გაეზავნოს შესაბამის სამსახურებს.
15. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიბურდანიძე